ფსიქიკური ჯანმრთელობა და ადაპტაციის აშლილობის კვლევა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებში

ნინო იმერლიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოტრავმის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქიკური ჯანმრთელობა

ხელმძღვანელი: ქეთევან ფილაური

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი: ნინო იმერლიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 29.06.2021

აბსტრაქტი

შესავალი: კორონავირუსის პანდემია, რომელიც მთელს მსოფლიოში სწრაფი ტემპებით ვრცელდება, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მოსახლეობის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. შიში, შფოთვა, საკარანტინე ზომებით გამოწვეული იზოლაცია, მარტოობა, დეპრესია, ალკოჰოლისა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების ჭარბი მოხმარება გავლენას ახდენს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ამიტომაც აქტუალურია სტუდენტების ფსიქიკური ჯანმრთელობის კვლევა, რაც მოგვცემს საშუალებას სტუდენტების ფსიქოსოციალური სერვისები მათ ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებებს მოვარგოთ.

საკვლევი მიზანი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრისა და მაგისტრატურის სტუდენტებში გავრცელებული ფსიქიკური აშლილობებისა და ზრუნვის ხელმისაწვდომობის ბარიერების კვლევა.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევაში გამოყენებული იყო რაოდენობრივი მეთოდი, კერძოდ- ონლაინ თვითადმინისტრირებადი კითხვარის მეშვეობით, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 18-დან 25 წლამდე 450 რესპოდენტმა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს დაეგზავნათ თვითადმინისტრირებადი კითხვარი.

საკვლევი კითხვარი შედგენილია შემდეგი კითხვარების გამოყენებით: კითხვები კოვიდ-19-თან დაკავშირებით, დეპრესიის სკრინინგ ინსტრუმენტი PHQ-9, გენერალიზებული შფოთვითი აშლილობის სკრინინგ ინსტრუმენტი GAD- 7, უნივერსიტეტის სტუდენტთა სტრესის სკალა (CSSS), ადაპტაციის აშლილობის კითხვარი- ADNM 20, ზრუნვის ხელმისაწვდომობის შეფასების ბარიერები- Barriers to Accsess to Care Evaluation.

კვლევის შედეგები: კვლევის შედეგებმა გვაჩვენა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებში მაღალია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების

პრევალენტობა. გამოვლინდა შფოთვის, დეპრესიის და ადაპტაციის აშლილობის სიმპტომთა ძლიერი მაჩვენებელი. ხოლო, COVID-19-ის ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგოდ მიღებული მკაცრი შეზღუდვები და უნივერსიტეტში სწავლასთან დაკავშირებული სტრესი, სტუდენტებში იწვევს შფოთვის მაღალ მაჩვენებელს და სტუდენტებს ექმნებათ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები კვლევამ ასევე გამოავლინა ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის სტუდენტებს, მიიღოს შესაბამისი სერვისი.

საკვანძო სიტყვები: ადაპტაციის აშლილობა, პანდემია, პანდემიასთან დაკავშირებული სტრესორები, სტუდენტური სტრესი, ფსიქიკური ჯანმრთელობა.

Abstract

Itroduction: The coronavirus pandemic, which is spreading rapidly around the world, has had a significant impact on the mental health of the population. Fear, anxiety, quarantine isolation, loneliness, depression, excessive consumption of alcohol and psychoactive substances that affects mental health. That is why student mental health research is relevant, which will allow us to tailor students' psychosocial services to their mental health needs.

Research Objective: To study the barriers to access to mental disorders and access to care common among undergraduate and graduate students at Ilia State University.

Research Methodology: The study used a quantitative method, namely - through an online self-administered questionnaire, Students of Ilia State University were sent a self-administered questionnaire. 450 respondents aged 18 to 25 years participated in the study.

The study questionnaire was compiled using the following questionnaires: Questions about Covid-19, Depression Screening Tool PHQ-9, Generalized Anxiety Disorder Screening Tool GAD-7, University Student Stress Scale (CSSS), Adaptation Disorder Questionnaire-ADNM 20, Care Accessibility Assessment - Barriers to Access to Care Evaluation

Research Results: The results of the study showed that Ilia State University students have a high prevalence of mental health problems. A strong rate of symptoms of anxiety, depression, and adaptive disorder was detected. While, the severe restrictions imposed against the spread of the COVID-19 virus and the stress associated with studying at university cause students to have high rates of anxiety and students with mental health problems the study also revealed barriers that prevent students from receiving appropriate services.

მადლობა

კვლევის განხორციელებაში გაწეული დახმარებისათვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს-ქეთევან ფილაურს გაწეული შრომისა და სასარგებლო რეკომენდაციებისათვის. ასევე, უღრმესი მადლობა კვლევის რესპოდენტებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ონლაინ კითხვარის შევსებაში, მათი გულისხმიერი დამოკიდებულებისა და ნდობისათვის.